

## არგუმენტირებული ნაშრომი \_ აკადემიური წერა სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეებში

ნინო პოპიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რეზიუმე

ტექსტი არის უმთავრესი საკომუნიკაციო საშუალება. არგუმენტირებული ნაშრომი როგორც სასკოლო, ისე \_ საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. შესაბამისად, მთავარი საკითხია, როგორ შეიძლება ამ საგნის სწავლება და რისი სწავლება არის შესაძლებელი არგუმენტირებული ნაშრომის წერის პრონციპების კუთხით.

საკმაოდ დიდხანს ითვლებოდა, რომ როგორც ზრდასრულები, ისე სტუდენტები განსაკუთრებული მეთოდური სწავლებებისა და სემოქმედებითი შესაძლებლობების გარეშე უნდა წერდნენ და არგუმენტირებული წერის ტექნიკა მათში თანდათანობით განვითარდებოდა და გაიზრდებოდა. თუმცა აშკარა გახდა, რომ საჭირო იყო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში ისეთი საგნის და/ან საგნების დანერგვა, სადაც წერის უნარ-ჩვევები, აკადემიური წერა, წერის ტექნიკა, სამეცნიერო წერის პრინციპების შესწავლა იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა ბუნებრივია, აქაც ჩნდება კითხვა: რისი სწავლება და შესწავლა არის ასეთი საგნის/საგნების პირობებში შესაძლებელი? საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში სასკოლო განათლების სისტემა იცნობდა არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის სწავლებას, თუმცა ე. წ. თემები, როგორც მაშინ არგუმენტირებულ ნაშრომს უწოდებდნენ, არ გამოირჩეოდა სათქმელის სიზუსტით, არგუმენტის სიმყარითა და სანდოობით.

დღეისათვის როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი სკოლების (ჩვენს შემთხვევაში, უნივერსიტეტების) მოთხოვნები სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად გარკვეულ სკეპტიციზმს შეიცავს: ერთი მხრივ, ძალზე ფართოა მოლოდინი საბოლოო შედეგის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, სასკოლო კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული არგუმენტირებული ტექსტის შექმნის მეთოდური და პრაქტიკული უნარ-ჩვევებისათვის შესაბამისი სასკოლო საგანი, ხოლო უნივერსიტეტებში ერთსემესტრიანი საგნობრივი კურსი წერითი მეტყველების შესასწავლად ძალზე მოკლე და სქემატურია. შესაბამისად, რამდენად არის რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ზრდასრულს შევასწავლოთ სემოქმედებითი პროცესი? რა სირთულეების წინაშე დგება ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესი? რადგან ცნობილია, რომ წერითი პრობლემები იმ ფენომენტთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც, დიდკონტიგენტური უნივერსიტეტისატვის ბუნებრივი და დამახასიათებელია. შესაბამისად, ხშირად რთულია კონკრეტული კრიტერიუმების მოძიება, თუ როგორია სტუდენტების წერითი პრობლემები, რამდენად მდიდარია საუნივერსიტეტო რესურსი წერითი პრობლემების მოსაგვარებლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა, სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში დანერგილიყო არგუმენტირებული ნაშრომის შექმნისათვის სასკოლო საგანი.

**საკვანძო სიტყვები:** *სასკოლო განათლება, საუნივერსიტეტო განათლება, არგუმენტირებული ნაშრომი.*

არგუმენტირებული ნაშრომის შექმნა არის სისტემატიზირებული და მეთოდურად კონტროლირებადი პროცესი, რომელიც ორიგინალური და შემოქმედებითი აზროვნებით გამირჩევა. აკადემიური წერა ზოგადი სახელწოდებაა, რაშიც აკადემიური უნარების, წერის ტექნიკის, აკადემიური მუშაობის, სამეცნიერო მუშაობის, არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის პრინციპები მოიაზრება.

არგუმენტირებული ნაშრომის შექმნა ნიშნავს კრიტიკულ აზროვნებას, ინდივიდუალურ აზროვნებას, ანალიზს, რომელსაც გარკვეულ შედეგებამდე მივყავართ და რაც, საბოლოოდ, შესაძლებელია იყოს სამეცნიერო შედეგები. ასეთ შემთხვევაში არსებობს შემოსაზღვრული საკითხი, რომლის ირგვლივაც გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობის შემდეგ, შესაბამისი საგნობრივი ტექსტებისა და შედეგების დამუშავებისა და ანალიზის შედეგად განსხვავებული და არგუმენტირებული თვალსაზრისია ჩამოყალიბებული.

რას ნიშნავს არგუმენტირებული ნაშრომის შექმნა? რა არის აკადემიურად წერა?

1. განსხვავებულ, ინდივიდუალურ აზროვნებას

განსხვავებული მოსაზრებების განხილვა, არგუმენტირებული კრიტიკა, საკუთარი ხედვის, საკუთარი პერსპექტივის შემუშავება და დასაბუთება

2. მიზანზე ორიენტირებულ და მეთოდურად კონტროლირებულ ნაშრომს

როდესაც ნაშრომის აგებულება და თანმიმდევრობა ლოგიკურად ვითარდება, აზრი, შეხედულება დასაბუთებული და არგუმენტირებულია და ა. შ.

3. საყოველთაო გამოყენება (საყოველთაო სარგებლიანობა)

ობიექტურობა: შედეგები მიღწეულია დამოუკიდებლად

ვალიდურობა: ვალიდურია ნაშრომი, როდესაც სწორედ ის არის გამოკვლეული, რაც თავდაპირველად იყო გამიზნული

საიმედოობა

ნაშრომში მიღებული დასკვნები სანდო და საიმედოა.

4. საფუძვლიანობა

არგუმენტების სიმკვეთრე, სიმკვირე და შესაბამისი სიღრმე

5. წერის სტილი

წერის სტილი გასაგები და ნათელია

6. კონცეპტუალური სიციხადე

ძირითადი ცნებები განმარტებული და განსჯილია, გააზრებულია

7. ფორმალური და ტექნიკური ასპექტები

ციტირება, პერირაზი

8. მეცნიერული პატიოსნება

სხვათა აზრები და გამონათქვამები შესაბამისად უნდა იყოს მითითებული და მოხსენიებული.

რატომ უნდა ვისწავლოთ აკადემიური წერა?

აკადემიური ტექსტის მრავალფეროვნებასთან ერთად წერის პროცესი მრავალ ურთიერთგანსხვავებულ საშუალებასა და კონფიგურაციას გულისხმობს. წერაში მოიაზრება პროცესი, რომელიც ერთი მხრივ დროით არის შემოფარგლული და კონკრეტულ, განსაზღვრულ დროს გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა, თუმცა გარკვეულ და კონკრეტულ აქტივობებს მოიცავს, რომლებიც ნაწილობრივ განსაზღვრავს წერის საბოლოო შედეგსა და მის წარმატებას.

აქტივობებში იგულისხმება მაგ.:

მოსაზრებებისა და შეხედულებების მონიშვნა, ჩანიშვნა,  
 პირველი არგუმენტების ესკიზური მოხაზვა,  
 მასალებისა და წყაროების, დოკუმენტების შეგროვება, დამუშავება.  
 საკვლევი საკითხების ირგვლივ კითხვების ფორმულირება.  
 წერილობითი გეგმის შედგენა;  
 თემის/საკითხის ხელმძღვანელთან, კოლეგებთან, დაინტერესებულ პირებთან დისკუსია  
 საკვლევი საკითხების მოდიფიცირება  
 თანმიმდევრობის შემუშავება  
 წყაპობისა და ლიტერატურის კომენტირება  
 პირველი ნაწილის დამუშავება  
 მოგზაურობა-ხეტიალი კითხვასა და წერას შრორის  
 მრავალჯერადი გადამუშავება  
 შერჩეული ადგილების შევსება-კომენტირება  
 განვრცობა  
 შემოკლება  
 დიდი და მცირე თავების დაკავშირება  
 დასკვნების შემუშავება  
 ფორმატირება  
 ტექსტზე მუშაობის დასრულება  
 ტექსტისგან იზოლირება  
 ტექსტისგან დისტანცირება  
 ხელახალი წაკითხვა  
 ტექსტი არის უმთავრესი საკომუნიკაციო საშუალება. არგუმენტირებული ნაშრომი როგორც სასკოლო, ისე – საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. შესაბამისად, მთავარი საკითხია, როგორ შეიძლება ამ საგნის სწავლება და რისი სწავლება არის შესაძლებელი არგუმენტირებული ნაშრომის წერის პროცესების კუთხით.  
 საკმაოდ დიდხანს ითვლებოდა, რომ როგორც ზრდასრულები, ისე სტუდენტები განსაკუთრებული მეთოდური სწავლებებისა და სემოქმედებითი შესაძლებლობების გარეშე უნდა წერდნენ და არგუმენტირებული წერის ტექნიკა მათში თანდათანობით განვითარდებოდა და გაიზრდებოდა. თუმცა აშკარა გახდა, რომ საჭირო იყო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში ისეთი საგნის და/ან საგნების დანერგვა, სადაც წერის უნარ-ჩვევები, აკადემიური წერა, წერის ტექნიკა, სამეცნიერო წერის პრინციპების შესწავლა იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა ბუნებრივია, აქაც ჩნდება კითხვა: რისი სწავლება და შესწავლა არის ასეთი საგნის/საგნების პირობებში შესაძლებელი? საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში სასკოლო განათლების სისტემა იცნობდა არგუმენტირებული ნაშრომის შექმნის სწავლებას, თუმცა ე. წ. თემები, როგორც მაშინ არგუმენტირებულ ნაშრომს უწოდებდნენ, არ გამოირჩეოდა სათქმელის სიზუსტით, არგუმენტის სიმყარითა და სანდოობით.  
 დღეისათვის როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი სკოლების (ჩვენს შემთხვევაში, უნივერსიტეტების) მოთხოვნები სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომების შესაქმნელად გარკვეულ სკეპტიციზმს შეიცავს: ერთი მხრივ, ძალზე ფართოა მოლოდინი საბოლოო შედეგის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, სასკოლო კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული არგუმენტირებული ტექსტის შექმნის მეთოდური და პრაქტიკული უნარ-ჩვევებისათვის შესაბამისი სასკოლო საგანი, ხოლო უნივერსიტეტებში ერთსემესტრიანი საგნობრივი კურსი წერითი მეტყველების შესასწავლად ძალზე მოკლე და სქემატურია. შესაბამისად, რამდენად არის რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ ზრდასრულს შევასწავლოთ სემოქმედებითი პროცესი? რა სირთულეების წინაშე დგება ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესი? რადგან ცნობილია, რომ წერითი პრობლემები იმ

ფენომენთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც, დიდკონტიგენტური უნივერსიტეტისატვის ბუნებრივი და დამახასიათებელია. შესაბამისად, ხშირად რთულია კონკრეტული კრიტერიუმების მოძიება, თუ როგორია სტუდენტების წერითი პრობლემები, რამდენად მდიდარია საუნივერსიტეტო რესურსი წერითი პრობლემების მოსაგვარებლად. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნებოდა, სასკოლო საგანმანათლებლო სისტემაში დანერგილიყო არგუმენტირებული ნაშრომის შექმნისათვის სასკოლო საგანი.

ზოგიერთ შემთხვევაში წერის ტექნიკის, აკადემიური წერის სწავლება მართლაც ტექნიკურ, ფორმალურ პროცესს ემსგავსება, სადაც რამდენიმე ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს სასწავლო მასალასაც, მიზანსაც და შედეგსაც. მრავალი ზრდასრულისათვის მიუღწეველი რჩება საგნის ძირითადი კომპონენტების შესწავლის მიღმა არსებული აკადემიური წერის შინაარსობრივი და შემოქმედებითი უნარების სრულფასოვნად ფლობა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წერითი მეტყველების, როგორც პროცესის თანმიმდევრული და მიზანმიმართული სწავლების შემთხვევაში წერითი კულტურა სრულფასოვანი ხდება, აზრი – ნათლად გამოხატული. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური წერის სწავლების დროს ყურადღება გამახვილდეს როგორც თეორიულ საკითხებზე, ისე – პრაქტიკულზე. უმრავლეს შემთხვევაში წერით მეტყველებაზე შედგენილ წიგნებსა და სახელმძღვანელოებში ძირითადი აქცენტი პრაქტიკაზეა გადატანილი, რაც, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა გრამატიკული მასალის გვერდით აუცილებელია წერის უნარ-ჩვევების თეორიული გააზრება. ამასთან, მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების მიხედვით აკადემიური წერის საგანზე გამოვლენილი ზოგადი სირთულეებისა შეცდომების ანალიზი და განზოგადება, ასევე, ტიპური შეცდომების და ხარვეზების გათვალისწინება სწავლებისას.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ სასკოლო საგანი უნდა ავითარებდეს მოსწავლის უნარ-ჩვევებს არგუმენტის მოძიებისა და დასაბუთების კუთხით, ხოლო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები მუდმივად უნდა იყოს დარგზე ორიენტირებული. აკადემიური წერა, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინა, ერთი მხრივ, ინტერდისციპლინური საგანია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას დარგისათვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გათვალისწინება მოეთხოვება.

უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური წერის შესწავლა იმ აუცილებლობით არის გამოწვეული, რომ ყოველ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს აზრის მწყობრად, თანმიმდევრულად, არგუმენტირებულად, ნათლად გამოხატვა. უმაღლესდამთავრებულების უმრავლესობისათვის დასაქმების სპექტრი და პერსპექტიული სამომავლო საქმიანობა მისგან მოითხოვს აკადემიურად მომზადებული ტექსტების მომზადებას. ბუნებრივია, წერის უნარების განვითარება სავალდებულოა შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში (მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

აკადემიური წერის შესწავლა და წერის ტექნიკის შეძლებისდაგვარად სრულფასოვნად დაუფლება მნიშვნელოვანია ყველა დარგის სტუდენტებისათვის, ვინაიდან არგუმენტირებული დათანმიმდევრული წერითი და ზეპირი მეტყველება, ცოდნაზე დაყრდნობილი და განვრცობილი მსჯელობა სხვადასხვა დარგისათვის ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს. სწრედ ასეთ შემთხვევაში ხდება ახალი ცოდნის გენერირება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, შეხედულებების გამოთქმა და დასაბუთება, რაც, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პროცესია.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, რასაც სტუდენტები არჩეული პროფესიებისა და კომპეტენციების შესაძენად შეისწავლიან, აკადემიური წერა უნივერსალიად ითვლება, რადგან იგი საშუალებას იძლევა აკადემიური მიდგომებით, აკადემიური აზროვნების წესით განავითაროს საკითარი აზრი დი, ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს საკუთარი შეხედულება.

აკადემიური ტექსტის შექმნა, მასთან დაკავშირებული წერის პრინციპების გათავისება და აზრებისა და შეხედულებების მწყობრად გენერირების ფენომენი არ არის ახალი, წერის

პრინციპების შესწავლა სასკოლო და საუნივერსიტეტო სივრცეში სხვადასხვა დროს სხვადასხვა მეთოდით მიმდინარეობდა, თუმცა საგნის "აკადემიური წერა" შემოღება და მასობრივად დანერგვა უკანასკნელ ათწლეულებში დაიწყო. საგანმა სავალდებულო სტატუსი მიიღო. აკადემიური წერა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სახელწოდებით, თუმცა თითქმის მსგავსი მეთოდოლოგიით ისწავლება. გაჩნდა შესაბამისი სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები, პრაქტიკული წიგნები, რიდერები, საკითხავები, სავარჯიშოები. აკადემიური წერის პრინციპები მნიშვნელოვანი საკითხია განსაკუთრებით გლობალური კომუნიკაციებისა და გლობალიზაციის ეპოქაში, სადაც კომუნიკაციის მრავალი ფორმა მასობრივად არის ხელმისაწვდომი.